

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2015-01.01.2016)

აუდიტის ობიექტი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია
და რადიო“

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. შესავალი - გვ. 3
2. შემოკლებანი - გვ. 5
3. შიდა აუდიტის ობიექტის სამართლებრივი ფორმა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა - გვ. 6
4. აუდიტის შედეგები (მოკლე შინაარსი) - გვ. 6
5. ძირითადი ტექსტი (გამოვლენილი ნაკლოვანებები, რისკები და რეკომენდაციები) - გვ. 7
- 5.1. ბიუჯეტის დამტკიცებისა და გაწეული ხარჯების, არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა - გვ.7
- 5.2. საშტატო ერთეულების დამტკიცებისა და შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა - გვ.12
- 5.3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა - გვ. 20
- 5.4. ადგილზე წამოჭრილი სხვა საკითხები - გვ. 45
6. შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს თაობაზე - გვ. 58

შესავალი

შესაბამისობის/ფინანსური აუდიტის საფუძველი - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹³-ე მუხლის შესაბამისად მრჩეველთა საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 01 აპრილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს ამავე კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ხოლო მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად ანგარიში უნდა შეიცავდეს შიდა აუდიტის დასკვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის 2016 წლის 03 თებერვლის N02-03/03 ბრძანებით განისაზღვრა შიდა აუდიტის სახე და ჩატარების ვადები.

შიდა აუდიტის სუბიექტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახური.

შიდა აუდიტის ობიექტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შიდა აუდიტორული შემოწმების სახე - შესაბამისობის/ფინანსური აუდიტი.

შესაბამისობის/ფინანსური აუდიტის პერიოდი - 2015 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 იანვრამდე.

შესაბამისობის/ფინანსური აუდიტის ჩატარების ვადა - 2016 წლის 03 თებერვლიდან 2016 წლის 19 მარტამდე (დაწყება – დასრულება).

აუდიტის მიზანი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მისი ფუნქციებისა და ამოცანების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებისათვის, შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი, დაწესებულების წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდა დაწესებულების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება, შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით:

1. ბიუჯეტის დამტკიცებისა და გაწეული ხარჯების, არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა;
2. საშტატო ერთეულების დამტკიცებისა და შრომის ანაზღაურების ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა;
3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა;
4. შემოწმების დროს წამოჭრილი სხვა საკითხები.

შიდა აუდიტის ობიექტში არსებული შიდა კონტროლისა და თანდაყოლილი რისკების გამო, აუდიტის განხორციელებისას არსებობს ალბათობა, გარკვეული არსებითი უზუსტობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1014 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

შემოკლებანი:

მაუწყებელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი
მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

დირექტორი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორი

შიდა აუდიტის სუბიექტი

შიდა აუდიტის სამსახური

სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

შიდა აუდიტის ობიექტის სამართლებრივი ფორმა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ დაფუძნებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ამავე კანონის თანახმად წარმოადგენს - სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილ, საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის.

აუდიტის შედეგები (მოკლე შინაარსი)

შიდა აუდიტორულმა შემოწმებამ მოიცვა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული საკითხების შესწავლა.

შიდა აუდიტორული შემოწმებისას გამოვლინდა რიგი დარღვევა-ნაკლოვანებანი, შიდა აუდიტის ობიექტს მიეცა რეკომენდაციები, შედგენილ იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც წარედგინა შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას, ანგარიშის პროექტში დაფიქსირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის მიზნით.

ანგარიშში დასმული საკითხებისა და რეკომენდაციების შესახებ ღია დისკუსიის გამართვისა და პოზიციების შეჯერების საფუძველზე, შედეგა შიდა აუდიტორული ანგარიში.

ძირითადი ტექსტი (გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები)

ბიუჯეტის დამტკიცებისა და გაწეული ხარჯების,
არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის
შესწავლა

ბიუჯეტი და შემოსავლები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად მაუწყებლის ბიუჯეტის ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო ამავე კანონის 35¹²-ე მუხლის შესაბამისად:

„1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით. გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ჩაირიცხება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ანგარიშზე;

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე 1 თვით ადრე წარუდგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის პროექტს;

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო გენერალური დირექტორისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტების პროექტების შეჯერების საფუძველზე ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს.“

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 30 დეკემბრის N285 გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015

წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38 951 000 ლარით, ხოლო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტი 6 473 000 ლარით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით მაუწყებლის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან განისაზღვრა 6 123 000 ლარით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილი კი - 350 000 ლარით.

2015 წლის განმავლობაში სულ ოთხჯერ მოხდა მაუწყებლის ბიუჯეტის კორექტირება, რომელიც ქრონოლოგიურად და შინაარსობრივად შემდეგნაირია:

1) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის N303 გადაწყვეტილება - ცვლილებები შეეხო მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯვით ნაწილს, კერძოდ, იგი სალდირებულად შემცირდა 145 000 ლარით, რაც დაკავშირებული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 19 თებერვალს განხორციელებულ ცვლილებასთან, კერძოდ სასპონსორო ტიხრების განთავსების შეზღუდვასთან (აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2015 წლის 01 აპრილიდან) ამასთან, გათვალისწინებული იქნა დონორი ორგანიზაციების დაფინანსება და მისი ხარჯვა გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

2) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 31 აგვისტოს N309 გადაწყვეტილება - ამ შემთხვევაშიც ცვლილებები შეეხო მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯვით ნაწილს, კერძოდ, იგი გაიზარდა 54 000 ლარით, რაც გამოწვეული იყო გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში არსებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებით და შესაბამისად გრანტის სახით მიღებული დაფინანსების ზრდით 2015 წლის 1 აგვისტოდან;

3) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 20 ოქტომბრის N318 გადაწყვეტილება - ცვლილებები შეეხო მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილის მუხლობრივ განაწილებას;

4) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 15 დეკემბრის N323 გადაწყვეტილება - ცვლილებები შეეხო მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯვით ნაწილს, კერძოდ, იგი გაიზარდა 10 150 ლარით, რაც დაკავშირებული

იყო მაუწყებლის მიერ დაუგეგმავი შემოსავლის (არარეზიდენტი კომპანიისთვის საფეხბურთო მატჩის ტრანსლირების მომსახურების გაწევის საზღაურის 4000 ევროს) მიღებასთან.

2015 წლის განმავლობაში სამჯერ მოხდა მაუწყებლის ბიუჯეტის გეგმის (სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში) დაზუსტება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლობრივ განაწილებაში (მაუწყებლის დირექტორის 2015 წლის 11 მარტის N02-19/103, 3 ნოემბრის N02-19/395, 9 დეკემბრის 02-19/436 წერილების საფუძველზე).

შეფასება:

ზემოაღნიშნული ცვლილებები განპირობებული იყო ობიექტური გარემოებებითა და საჭიროებებით, რაც დადასტურებულია შესაბამისი პროექტების განმარტებითი ბარათებით.

ბიუჯეტის შესრულება

საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში დაგეგმილი **6 123 000** ლარიდან გაწეული საკასო ხარჯი 2015 წელს შეადგენს **6 120 536,67** ლარს ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელია 99,96%, ხოლო შემოსავლებიდან დაგეგმილი **269 150** ლარიდან (ბოლო კორექტირების გათვალისწინებით) გაწეული საკასო ხარჯი - **263 455,65** ლარს - გეგმის შესრულების მაჩვენებელია 97,88% (იხ. დანართი 1).

ხარჯები გაწეულია გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული მოწოდებების დამადასტურებელი შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტების (ანგარიშფაქტურები, ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ინვოისები) შედგენის და დადასტურების შემდეგ, ასევე, მივლინებების შესახებ ბრძანებებისა და ხარჯების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, საშტატო განრიგისა და შტატგარეშე მოსამსახურებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები ასახულია საბუღალტრო დოკუმენტაციებსა და შესაბამის ანგარიშებში.

ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები

2015 წლის განმავლობაში მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დარიცხულმა შემოსავლებმა მიზნობრივი გრანტის ჩათვლით შეადგინა 262 835,93 ლარი. აღნიშნული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით. მიზნობრივი გრანტი მიღებულია საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის დაფინანსებით, რაც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის შესახებ პროგრამების მომზადებას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება აღნიშნულ ორგანიზაციასთან გაფორმდა 2014 წლის მე-4 კვარტალში და იგი გრძელდება 2016 წლის 1 აპრილამდე. 2015 წლის დაფინანსებამ შეადგინა 117 125 ლარი.

გაეროს წარმომადგენლობის მიზნობრივი გრანტის შემდგომ შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი მოდის ქონების იჯარაზე - 69 986 ლარი. აღსანიშნავია, რომ სასპონსორო და პროდუქტის განთავსების (Product placement) მომსახურებიდან მაუწყებლის მიერ საანგარიშო პეიოდში მიღებული დარიცხული შემოსავალი შეადგენს 42 593,43 ლარს, ამასთან, აღნიშნული შემოსავლის 80% მიღებულია 2015 წლის პირველ კვარტალში (მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილების შესვლამდე, რითაც შეიზღუდა სასპონსორო მომსახურება). აღნიშნული მომსახურების ფარგლებში 2015 წლის განმავლობაში სულ მომსახურების მიმღებს წარმოადგენდა მხოლოდ 3 სუბიექტი, (იხ. დანართი 3), აღნიშნულ სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა გარკვეულ ფასდაკლებებს. ისინი ფაქტიურად წარმოადგენდნენ შუამავლებს მაუწყებელსა და სასპონსორო ტიხრებისა და პროდუქტის განთავსების (Product placement) მსურველებს შორის, რის სანაცვლოდაც დებულობდნენ ფასდაკლებას. თუმცა, 2015 წლის განმავლობაში არ გაფორმებულა არც ერთი ხელშეკრულება აღნიშნული მომსახურების გაყიდვის მიზნით მაუწყებელსა და მომსახურების უშულოდ მიმღებს შორის, რაც მაუწყებლის მარკეტინგის განყოფილების არაეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს.

რეკომენდაცია:

შუამავალ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფაქტობრივი შესრულება ცხადყოფს, რომ ბაზარზე არსებობს სასპონსორო ტიხრებისა და პროდუქტის განთავსების (Product placement) მომხმარებელთა პოტენციალი, რომელთა მოზიდვისთვის და შესაბამისად, მაუწყებლის შემოსავლების ზრდისთვის საჭიროა შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება.

საგადასახადო ვალდებულებების შესრულება

2015 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ მიღებული დარიცხული შემოსავლები დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **262 835,93** ლარს. მიღებულ შემოსავლებთან და არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშსწორებასთან (ასევე მომსახურების მიღების პერიოდთან) მიმართებაში დროულად არის შესრულებული საგადასახადო ვალდებულებები როგორც დეკლარირების, ისე გადასახადების გადახდის კუთხით.

საშტატო ერთეულების დამტკიცებისა და შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა

მაუწყებლის 2015 წლის საშტატო განრიგი მრჩველთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2014 წლის 25 დეკემბერს (გადაწყვეტილება N20, 25.12.2014). მაუწყებლის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა სამოცდარვა ერთეულით, მათ შორის 5 ერთეული - მრჩველთა საბჭოს წევრი, 2 ერთეული - მრჩველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელი, ხოლო 61 საშტატო ერთეული გადანაწილდა მაუწყებლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა პოზიციაზე. სახელფასო ფონდი განისაზღვრა 92 475 ლარით თვეში. აქედან 6 475 ლარი თვეში მრჩველთა საბჭოს წევრების და მისი აპარატის სახელფასო ფონდი.

სააუდიტო პერიოდში საშტატო განრიგში ორ შემთხვევაში მომხდარია ცვლილება. 2015 წლის 27 თებერვლის ცვლილებით გაუქმდა ორი საშტატო ერთეული, კერძოდ სტუდიის რეჟისორის და ცენტრალური სააპარატოს ინჟინერი, შემოღებული იქნა ერთი ახალი საშტატო ერთეული - სტუდიისა და მსს რეჟისორის თანამდებობა, ამასთან, მოხდა 3 საშტატო ერთეულის - კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტის, საავტომობილო პარკის უფროსის და მეურნეს თანამდებობრივი სარგოს ზრდა. ამასთან, შემცირდა თვის სახელფასო ფონდი 400 ლარით, ხოლო რაც შეეხება 2015 წლის 24 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებას, აღნიშნული ამოქმედდა 2016 წლის 01 იანვარს.

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება მაუწყებლის ბიუჯეტში შესული ბოლო ცვლილების თანახმად (გადაწყვეტილება N323, 15.12.2015 წ.) ხაზინის დაფინანსების ნაწილში განისაზღვრა 3 342 700 ლარით. აქედან შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე სააუდიტო პერიოდში ხელფასის სახით გაცემულია 2 296 974,39 ლარი. აუთვისებელი ნაშთი 5,61 ლარი. შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე 1 027 200 ლარი, ხოლო ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო გაცემული დახმარების ოდენობა შეადგენს 17 711,14 ლარს. აუთვისებელი ნაშთი 8,86 ლარი.

სააუდიტო პერიოდში მაუწყებლის დირექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის N02-09/259 ბრძანების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, მაუწყებლის 4 თანამშრომელზე

გაცემულია ფულადი ჯილდო. გაცემული ფულადი ჯილდოს (პრემიის) საერთო ოდენობა შეადგენს 800 ლარს.

მაუწყებლის შინაგანაწესის მე-14 მუხლის 14.2. პუნქტის თანახმად „დასაქმებულის მიერ მოპოვებული წარმატებისათვის წახალისების შესახებ წინადადებით შეიძლება გამოვიდეს როგორც დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი, ასევე დირექტორი. დასაქმებულის დაჯილდოვების, ფულადი პრემიის გადაცემისა და ამ პრემიის ოდენობის შესახებ შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.“

მიუხედავად იმისა, რომ პრემიის გაცემა მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა კანონმდებლობისა და მაუწყებლის შინაგანაწესის მოთხოვნათა სრული დაცვით, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, რომელიც ეყრდნობა დადგენილ პრაქტიკას მნიშვნელოვანია, რისკების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად, იმისათვის რომ არ იყოს პრობლემა ფულადი ჯილდოს გაცემისას ხელმძღვანელის სამართლიანობასთან დაკავშირებით, დასაქმებულის დაჯილდოვების, ფულადი პრემიის გადაცემისა და ამ პრემიის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხი განხილული იქნას სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. მაშინაც კი, როდესაც საქმე სიმბოლურ ჯილდოს ეხება, თანამშრომლები მოელიან, რომ მათ სამართლიანად მოეპყრობიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია მოხდეს შინაგანაწესის აღნიშნული ნორმის სრულყოფა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ -ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად მრჩეველთა საბჭო „დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს.“

მაუწყებელში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მაუწყებლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებზე სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, ხოლო შტატით გაუთვალისწინებელ პოზიციებზე სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მნიშვნელოვანი იქნება მრჩეველთა საბჭომ დაამტკიცოს, სახელფასო ფონდი, თანამდებობათა დასახელება და შრომის ანაზღაურების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვარი. რაც შექმნის საშუალებას მაუწყებლის თანამშრომელთა ანაზღაურება დაუკავშირდეს დასაქმებულის სამუშაოს შეფასებას და პოზიციის კომპლექსურობის დონეს.

ადამიანური რესურსის მართვის სისტემაზე საუბრისას ანაზღაურების სისტემას განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა. დასაქმებულების მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, თუ როგორ ხდება ანაზღაურების განსაზღვრა, რის საფუძველზე ხდება პრემიის (ფულადი ჯილდოს) გაცემა და რა შემთხვევაში, როგორი ტიპის შედეგებით სარგებლობს პერსონალი. მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურების სისტემა გამჭვირვალე და ზუსტად განსაზღვრული იყოს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ანაზღაურების სისტემამ, ასახოს გრძელვადიან პერიოდში თანამშრომელთა განვითარების პერსპექტივა.

შტატით გათვალისწინებულ პოზიციებზე, თანამშრომელთა აყვანის შესახებ 2014 წლის 03 იანვარს გამოცემულია დირექტორის N01-05/01 ბრძანება (იხ.ბრძანება). აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად მხარეთა უფლება-მოვალეობები და შრომის ანაზღაურების საკითხები უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, ამასთან, აუდიტის ობიექტის განმარტებით შრომის შინაგანაწესი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცდა 2015 წლის 17 ივლისს, მრჩეველთა საბჭოს N01-01/07 გადაწყვეტილებით. შესაბამისად, გაუგებარია რის საფუძველზე რეგულირდებოდა ისეთი არსებითი საკითხები, როგორცაა : ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი და სხვა.

აღნიშნული, აგრეთვე არ მოდის თანხმობაში საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლთან, რომლის თანახმადაც „შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.“

როგორც ზემოთ აღინიშნა, მაუწყებლის შრომის შინაგანაწესი დამტკიცებულია 2015 წლის 17 ივლისს. შინაგანაწესის მე-9 მუხლის თანახმად მაუწყებელში დაწესებულია 40 საათიანი სამუშაო კვირა ორი დასვენების დღით. სააუდიტორო პერიოდში ადგილი აქვს შტატით გათვალისწინებულ პოზიციაზე მომუშავე პირების (იხ. შრომითი ხელშეკრულებები) შეთავსებით შტატით გათვალისწინებულ პოზიციაზე აყვანას, რაც დასაშვებია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-8 მუხლით, რომლის თანახმადაც „შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.“

შეთავსებით სამუშაოზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ძირითადი პირობებით განსაზღვრულია იგივე სამუშაო დრო, რაც შეთავსებით სამუშაოზე, აგრეთვე არ არის გამიჯნული დასაქმებულის უფლება-მოვალეობები და არ არის დასაბუთებული რა აუცილებელმა გარემოებამ განაპირობა დასაქმებულის შეთავსებით სამუშაოზე აყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეთავსებით სამუშაოზე პირის აყვანის შემთხვევაში, დარეგულირდეს სამუშაო დროის ხანგრძლივობა და დასაბუთებული იქნას შეთავსებით სამუშაოზე პირის აყვანის აუცილებლობა.

აუდიტის ობიექტის (ფინანსური ეფექტიანობის სამსახური) განმარტებით სააუდიტო პერიოდში (2015 წ) მაუწყებელში არ წარმოებდა დასაქმებულის სამსახურში გამოცხადების და წასვლის აღრიცხვის ერთიანი სისტემა, თუმცა, აღნიშნულ სისტემის შემოღებასა და ამოქმედებაზე აქტიურად მიდის მუშაობა და მისი დანერგვა მოხდება უახლოეს პერიოდში, კერძოდ, 2015 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მოწოდებაზე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა მოხდეს 2016 წლის თებერვალში.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იმ პირობებში, როდესაც სამსახურის ადმინისტრაცია არ ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების აღრიცხვიანობას, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, დისციპლინური წარმოების დაწყებისას, მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჩვენება არ ჩაითვლება საკმარის და უტყუარ

მტკიცებულებად. შესაბამისად, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, აღნიშნული სისტემის შემოღება ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის დაცვას.

მაუწყებლის შინაგანაწესის 15.7. პუნქტის თანახმად „თუ ერთი თვის განმავლობაში დასაქმებულის მიერ სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების საათების ოდენობა გადააჭარბებს 2 საათს, უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დასაქმებულს დაეკვიტება შესაბამისი თვის ხელფასის 20%. იმ შემთხვევაში, თუ ერთი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით დაგვიანების საათების ოდენობა გადააჭარბებს 4 საათს, ეს ჩაითვლება დასაქმებულის მხრიდან შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულების უხემ დარღვევად, რის გამოც, დამსაქმებელი უფლებამოსილია გაათავისუფლოს დასაქმებული სამუშაოდან.“

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ შრომის დისციპლინის დაცვა დაწესებულებაში მნიშვნელოვანია, შინაგანაწესის 15.7. პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები არაგონივრულია და ის უნდა გადაიხედოს, ვინაიდან შინაგანაწესის ხსენებული ნორმა უშვებს შესაძლებლობას ერთი დღის დაგვიანების გამო თანამშრომელი დაისაჯოს ზედმეტად მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომით, როგორცაა სამსახურიდან დათხოვნა. რაც ქმნის რისკს, რომ აღნიშნული ნორმა გამოყენებული იქნას არასწორად, რამაც თავის მხრივ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას კადრების სტაბილურობას.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომა გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, ისეთი სახის დარღვევებზე როგორცაა, მაგალითად: ა) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა მაუწყებლის რეპუტაციას; ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა მაუწყებელს; გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა მაუწყებელში მომუშავე სხვა თანამშრომელს ან მესამე პირს ან სხვა მსგავსი გარემოება. აღნიშნული დისციპლინური გადაცდომის სახეები არ არის მოცემული მაუწყებლის შრომის შინაგანაწესში, შესაბამისად მხოლოდ სამსახურში დაგვიანება არ შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის

ისეთი მძიმე სახის გამოყენების საშუალება როგორცაა ხელფასის დაქვითვა 20%-ით ან/და სამსახურიდან დათხოვნა.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრება ეფუძნება სასამართლო პრაქტიკას და პრინციპს, რომლის შესაბამისადაც შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის დარღვევასთან შედარებით. დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებული უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმისა და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, შრომის შინაგანაწესი საშუალებას უნდა იძლეოდეს გადაცდომის დროს არჩეულ იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ან/და ხელფასის დაქვითვა (20%-ით) დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის.

ამასთან, საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია დაცული იქნას მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსი, კერძოდ, ერთი მხრივ დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს ხელშეკრულება, ხოლო მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და ასეთი თანამშრომლის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაუწყებლის შრომის შინაგანაწესი არ არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა დისციპლინური წარმოების პრინციპები, წარმოების განმახორციელებელი ერთეულის უფლებამოსილება, დისციპლინური წარმოების ჩატარების წესი და ვადები, დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის უფლებები.

აღნიშნული საკითხების რეგულაცია მნიშვნელოვანია, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული დისციპლინური წარმოების დროს მხარეთა ინტერესები და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნას, ყოველმხრივი სრული და ობიექტური შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით. შესაბამისად, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მაუწყებლის შინაგანაწესით რეგულირებული ურთიერთობები საჭიროებს სრულყოფას.

რისკები:

1. მომუშავეთათვის შრომის ანაზღაურების დაანგარიშება-დარიცხვისას ისეთი დოკუმენტების გაუთვალისწინებლობამ, როგორცაა, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმა (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება), შრომითი ხელშეკრულება და სხვა, შესაძლოა გამოიწვიოს მომუშავეებზე შრომის ანაზღაურების არასწორად დაანგარიშება-დარიცხვა.

რეკომენდაციები:

1. ხელფასების დარიცხვა-გაცემა მიზანშეწონილია განხორციელდეს, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმის (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების შესაბამისად.

2. კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის საფუძველზე გადამუშავებული იქნას მაუწყებლის არსებული შრომის შინაგანაწესი. დარეგულირდეს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები.

3. შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მომუშავე პირის შეთავსებით სამუშაოზე აყვანის შემთხვევაში, დარეგულირდეს შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები ისე რომ გამოირიცხოს როგორც უფლებამოსილებათა, ისე ვალდებულებათა გაორება.
4. დასაქმებულის დაჯილდოვების, ფულადი პრემიის გადაცემისა და ამ პრემიის ოდენობის შესახებ საკითხების განხილვის მიზნით შეიქმნას სპეციალური კომისია.
5. შეიქმნას ანაზღაურების სისტემა, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და უკავშირდებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კლასიფიკაციის სისტემას, გარდა ამისა, სისტემის მიზნებში უნდა შედიოდეს კვალიფიციური პირების მაუწყებელში მოზიდვა, შენარჩუნება და მოტივირება მიმზიდველი და პროგნოზირებადი სახელფასო ანაზღაურების შეთავაზების გზით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა

მაუწყებლის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, მაუწყებლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2014 წლის 19 ნოემბერს დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი და არასაბიუჯეტო შემოსავლები.

დაფინანსების წყაროს შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენს -2 085 474 ლარს, არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან - 160 700 ლარს.

აუდიტის ობიექტის (სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელებულია სულ - 30 ცვლილება. სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში, ბოლოს განხორციელებული ცვლილების თანახმად (25.12.2015 წლის ცვლილება) შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში შეადგენს 1 764 135 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაწილში - 61 825 ლარს.

აუდიტის ობიექტის (სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება) მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესისა და ფორმის განსაზღვრის თაობაზე.¹

მაუწყებლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შესყიდვების წლიური გეგმა თანდართული რედაქციით. თანდართული რედაქციით ფორმა განსაზღვრულია, რაც შეეხება წესს თუ ვინ უნდა დაარეგისტრიროს აღნიშნული გეგმა eplan მოდულში, არ არის განსაზღვრული ბრძანებით².

სააუდიტო პერიოდში მაუწყებლის მიერ შესყიდვები განხორციელებულია ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, კონსოლიდირებული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

¹ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1¹-ლი პუნქტი;

² „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1¹-ლი პუნქტი;

მაუწყებლის მიერ 2014 წლის 08 დეკემბერს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე - SPV- 45442180, სატენდერო განცხადების N140028786. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვრა 30 000 ლარის ოდენობით. მოწოდების ვადად კი განისაზღვრა 60 კალენდარული დღე. ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოდგენილი იქნა შპს „დეგო“-ს მიერ 20 980 ლარი. ამასთან, შპს „დეგო“-ს გარდა ტენდერში მონაწილეობა მიიღო სხვა პრეტენდენტებმაც (სულ მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა).

სატენდერო კომისიის მიერ 2014 წლის 08 დეკემბრის N1 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაცია და შემდგომში განხორციელებული ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სატენდერო განცხადების მე-8 პუნქტში მითითებულია სატენდერო კომისიის წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია (იხ.სატენდერო დოკუმენტაცია), რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომრის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს (შემდგომში ტექსტში - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“) მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც სატენდერო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს „ სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ“ კანონმდებლობით დადგენილი აღნიშნული დანაწესის დაცვა მნიშვნელოვანია, რათა გამოირიცხოს ალბათობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლით დადგენილი მოთხოვნის დარღვევისა, რომლის თანახმადაც „სატენდერო კომისიას უფლება არა აქვს, გამართოს მოლაპარაკება ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მსურველთან და პრეტენდენტთან, გარდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

2. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირებული იქნა შპს „დეგო“-ს მიერ 20 980 ლარი, ხარჯთაღრიცხვა მის მიერ სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი იქნა 30 000 ლარზე (იხ.ხარჯთაღრიცხვა), ასევე წარმოდგენილი იქნა რეკვიზიტები. პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემდეგი დოკუმენტაცია: ა) ტექნიკური პირობები; ბ) ხელშეკრულების აუცილებელი პირობები.

აღნიშნული გარემოებების მიუხედავად სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დეგო“ (იხ.სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1 15.12.2014 წელი). სატენდერო კომისიის აღნიშნული ქმედება წინააღმდეგობაში მოდის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებთან, რომელთა თანახმადაც: „სატენდერო კომისიამ შერჩევა/შეფასების ეტაპზე უნდა იმსჯელოს შეესაბამება თუ არა წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.“

3. ფასების ცხრილის დაზუსტება ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ განხორციელებული იქნა არაუფლებამოსილი პირის სატენდერო კომისიის სხდომის მდივნის 2014 წლის 15 დეკემბრის N01-22/447 წერილისა და სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, რომელიც ეწინააღმდეგება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-12 მუხლის მე-6 და 6¹ პუნქტის, მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს სამი სამუშაო დღისა.

6¹. ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნასთან ერთად.“ ზემოაღნიშნული ოქმით და სატენდერო კომისიის წევრის წერილით კი პრეტენდენტს ხარჯთაღრიცხვის დასაზუსტებლად განესაზღვრა 4 სამუშაო დღე (2014 წლის 16, 17,18,19 დეკემბერი), ხოლო ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნა განხორციელდა ტექნიკური დოკუმენტაციის (ტექნიკური პირობა, ხელშეკრულების აუცილებელი პირობა) დაზუსტების მოთხოვნის გარეშე.

4. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდა, ისე რომ სატენდერო კომისიას არ უმსჯელია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის, სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის თაობაზე. შესაბამისად კონონის დანაწესის უგულებელყოფით მოხდა ტენდერისათვის სტატუსების მინიჭება, კერძოდ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-2 მუხლის „ნ“- „ო“ ქვეპუნქტების თანახმად ტენდერისათვის სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭება ხდება შემდეგი პროცედურების დაცვით:

„ ნ) შერჩევა/შეფასება – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის და შესაბამისი დოკუმენტაციის (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) სისტემაში ატვირთვა. ო) გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი და შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით აიტვირთება სისტემაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური

დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს.“

5. სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მომწოდებელთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (იხ. ხელშეკრულება 19.12.2014 N214) მომწოდებლის მხრიდან ხელს აწერს შპს „დეგოს“ დირექტორის მინდობილი პირი.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით წარმომადგენლობა დასტურდება შპს „დეგოს“-ს დირექტორის მიერ 2014 წლის 23 მაისს და ამავე წლის 31 დეკემბერს გაცემული მინდობილობებით.

მინდობილობის შინაარსიდან არ ირკვევა თუ რომელ ხელშეკრულებასთან და შემსყიდველ ორგანიზაციასთან დაკავშირებით აქვს მინდობილ პირს განახორციელოს იურიდიული მოქმედება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად: „ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს.“

მოცემულ შემთხვევაში რისკის შედეგის თვალსაზრისით, აღნიშნულ გარემოებას არ მოუხდენია გავლენა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრისას ფუნდამენტურია. შესაბამისად იგი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც მატერიალურ ისე ფორმალურ წინაპირობებს და ვარგისი უნდა იყოს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისათვის. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია ნების გამოვლენა წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ასევე უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ შეიძლება არსებობდეს სათანადო უფლებამოსილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აუდიტის ობიექტის (სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება, იურიდიული მხარდაჭერის სამსახური) მიერ გარიგების დადებისას, მასში ცვლილებების განხორციელებისას, გარიგებიდან

გამომდინარე, სხვა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურების შემთხვევაში შემოწმდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ნამდვილობა. ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგება გახდეს საცილო, ასეთ შემთხვევაში კი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება, მხოლოდ წარმოდგენილი პირის (მინდობილობის გამცემის) თანხმობაზე.

6. მხარეთა შორის გაფორმებული 2014 წლის 19 დეკემბრის N214 ხელშეკრულების პირობები არ მოდის თანხმობაში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს შესრულებული სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.

7. მხარეთა შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში 2015 წლის 06 თებერვალს განხორციელებულია ცვლილება (იხ.შეთანხმება). აღნიშნული ცვლილებები არ არის ასახული სისტემის შესაბამის ველში, კერძოდ, დოკუმენტი ატვირთულია სისტემაში, მაგრამ არასათანადო „ფაქტობრივი გადახდები“-ს ველში - სისტემაში რეგისტრაციის თარიღი: 2015 წლის 16 თებერვალი 15:38 სთ.

რაც შეეხება ფაქტობრივი გადახდების შესახებ ინფორმაციას და მიღება-ჩაბარების აქტებს სისტემაში ატვირთულია დაგვიანებით, კერძოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღები: 30.01.2015 და 13.02.2015 სისტემაში რეგისტრაციის თარიღი 09.03.2015 18:09 სთ. რაც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალს N2 ბრძანებით დამტკიცებული, „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ (შემდგომში-ანგარიშგების წესი) მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმადაც „შემსყიდველი ორგანიზაცია, ვალდებულია CMR-ში დაამატოს ინფორმაცია შესაბამისი ხელშეკრულების ღირებულების ყოველი ფაქტობრივი გადახდის შესახებ, ასეთი გადახდის განხორციელებიდან 10 დღის ვადაში.“(02.07.2015 წლამდე მოქმედი რედაქცია)

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, აუდიტის ობიექტის ზემოაღნიშნული ქმედებები რისკის შემცველია და პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით 2014 წლის 11 დეკემბერს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების NSPA140029182) სამუშაო სადგურების (CPV-30214000) სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 6700 ლარი. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა ი/მ „გელა პატარაია“. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 6398 ლარი.

სატენდერო განცხადების მე-8 პუნქტში მითითებულია სატენდერო კომისიის წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ეწინააღმდეგება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტს.

სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტის თანახმად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო: ფასების ცხრილი; ტექნიკური პირობები; ხელშეკრულების აუცილებელი პირობები; პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები. სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ (დოკუმენტის წარმოდგენის დრო: 2014 წლის 17 დეკემბერს 13.07 სთ) წარმოდგენილია, მხოლოდ პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები.

სატენდერო კომისიის მიერ „შერჩევა/შეფასება“ ეტაპზე 2014 წლის 23 დეკემბერს მიღებული იქნა საოქმო გადაწყვეტილება (იხ. სხდომის ოქმი 23.12.2014 N2), რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამებოდნენ სატენდერო დოკუმენტაციას, კერძოდ, წარმოსადგენი იყო ტექნიკური პირობა და თანხმობა ხელშეკრულების აუცილებელ პირობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სხვა დოკუმენტებთან ერთად პრეტენდენტის მიერ ასევე არ იყო წარმოდგენილი ფასების ცხრილი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა სატენდერო კომისიას არ მოუთხოვია აღნიშნული დოკუმენტი, რაც წინააღმდეგობაში მოდის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც შერჩევა/შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ

სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს. შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ 2014 წლის 23 დეკემბრის N2 საოქმო გადაწყვეტილებით ჩანს, რომ სრულად არ არის შეფასებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით 2014 წლის 23 დეკემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების NSPA140030571) ვიდეო კამერების (CPV-32333200) სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 286 000 ლარი. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირებული იქნა შპს „TVC Georgia“ მიერ. შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 233 950 ლარი.

სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს ხარვეზს, მასში მითითებული არ არის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის ოდენობაზე წესსა და პირობებზე. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მითითებას ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე, ხოლო ამავე წესის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს.“ მოცემულ შემთხვევაში კი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციაში გარანტიის წარმოდგენის თაობაზე მითითება სავალდებულო იყო.

ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს გაეგზავნა ორი წერილი (იხ. წერილი N02-22/29 21.01.2015 და წერილი N02-22/40 29.01.2015) პირველი წერილით მოთხოვნილი იქნა ფასების ცხრილის დაზუსტება და პრეტენდენტი მოწვეული იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად, რისთვისაც განესაზღვრა ვადა 2015 წლის 27 იანვრამდე, ხოლო მეორე წერილით მოთხოვნილი იქნა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ან დაზღვევის წარმოდგენა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რისთვისაც განესაზღვრა ვადა არაუგვიანეს

2015 წლის 12 თებერვლისა. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 27 იანვარს (იხ.ხელშეკრულება 27.01.2015წ N11)

ზემოაღნიშნული ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის შესყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კერძოდ:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-12 მუხლის მე-6, 6¹ და 6³ პუნქტების, მოთხოვნებთან, რომლის თანახმადაც: ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ სამუშაო დღეს. ამასთან ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დაზუსტებას საჭიროებდა, ასევე ტექნიკური დოკუმენტაცია (პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით სრულად არ იყო წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი დოკუმენტები) პრეტენდენტის მოწვევა ხელშეკრულების გასაფორმებლად არ უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნას (წერილი N02-22/40. 29.01.2015) აღნიშნული ეწინააღმდეგება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც გარანტია ტენდერის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღნიშნა ხელშეკრულების დადება მოხდა 2015 წლის 27 იანვარს, ხოლო გარანტიის წარმოდგენა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 2015 წლის 30 იანვარს (იხ.გარანტია NFG/15 012978).

ასევე სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს ისეთი სახის ხარვეზს, როგორცაა სატენდერო დოკუმენტაციაში, სატენდერო კომისიის წევრის ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ 2014 წლის 30 დეკემბერს ოპტიკური ხელსაწყოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე (სატენდერო განცხადების NSPA140031211), არ არის მითითებული შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი, რაც წინააღმდეგობაში მოდის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და

ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილ დანაწესთან.

ხოლო რაც შეეხება აღნიშნული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში მიღებულ საოქმო გადაწყვეტილებას (იხ. სხდომის ოქმი N2 13.01.2015 წ) წინააღმდეგობაში მოდის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-12 მუხლის მე-6 პუნქტთან.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით 2015 წლის 06 იანვარს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების NSPA150000331) კინო და ვიდეომომსახურებების (CPV-92100000) სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 250 000 ლარი.

სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს ხარვეზს, მასში მითითებული არ არის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის ოდენობაზე წესსა და პირობებზე.

სატენდერო წინადადების მიღების დასრულების, შემდგომ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნა და მისი წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრა (იხ. ოქმი N2 02.02.2015 წელი), ეწინააღმდეგება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-9 მუხლის მოთხოვნას.

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება, ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით. შესაბამისად გარანტიის ოდენობისა და მოქმედების ვადის შესახებ პრეტენდენტმა, რომელსაც სურს კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობის მიღება უნდა იცოდეს წინასწარ, აღნიშნული ინფორმაციის წინასწარ ცოდნა მნიშვნელოვანია, რადგან გარანტიის წარმოდგენა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რომელიც დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე და მოქმედების ვადაზე. შესაბამისად კანონის დანაწესი, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოცემული იყოს სატენდერო დოკუმენტაციაში

ემსახურება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფას, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნა.

მომწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 10 თებერვალს (იხ. ხელშეკრულება N18 10.02.2015წ) ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250 000 ლარს, მუხედავად აღნიშნულისა, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დარეგულირებული არ არის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები, რაც წინააღმდეგობაში მოდის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს 21-ე მუხლის მე-7 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული ურთიერთობა (გარანტის პირობები) უნდა დარეგულირდეს ხელშეკრულებით.

მომწოდებელთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების 50%-ის ოდენობით.

საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა 2015 წლის 13 თებერვალს (იხ. საგადახდო მოთხოვნა N00636)

სატენდერო დოკუმენტაციის მე-5 პუნქტში (იხ.სატენდერო დოკუმენტაცია SPA150000331) მოცემულია ხელშეკრულების აუცილებელი პირობები, სადაც არ არის მითითებული საავანსო ანგარიშსწორების შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნული დანაწესის შემდგომში ხელშეკრულებაში გაჩენა და საავანსო ანგარიშსწორების განხორციელება, რისკის შემცველია და საფრთხეს უქმნის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით 2015 წლის 04 მარტს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების NSPA150006997) პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან

დაკავშირებული მომსახურებების (CPV-50300000) სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 151 000 ლარი. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 151 000 ლარი. მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე.

სატენდერო დოკუმენტაციის (ტექნიკური პირობა) თანახმად შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება საგარანტიო ვადა ერთი წელი. პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არ შეიცავს მითითებას საგარანტიო ვადაში, საგარანტიო მომსახურების პირობებზე, რაც რისკის შემცველია, ვინაიდან საგარანტიო მომსახურების პირობები დეტალურად უნდა ითვალისწინებდეს საგარანტიო ვადაში მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომებს.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით აღნიშნული პირობების რეგულირება მნიშვნელოვანია, მხარეთა კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

სატენდერო დოკუმენტაციის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის თანახმად „ტენდერში მონაწილეს უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილება“ (იხ.სატენდერო დოკუმენტაცია). სატენდერო კომისიას „შერჩევა/შეფასება“ ეტაპზე არ უმსჯელია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის შპს „გურამექსი“ გამოცდილების შესახებ (იხ.სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1 12.03.2015 წ) და არც პრეტენდენტს წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტაცია, ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, პრეტენდენტი გამოცხადდა გამარჯვებულად და ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 17 მარტს (სისტემაში ხელშეკრულების რეგისტრაციის თარიღი 25.03.2015 წელი).

აუდიტის ობიექტის (სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება) განმარტებით: „შპს „გურამექსი“ საქართველოს ტერიტორიაზე არის ერთ-ერთი მომწოდებელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი სახის აპარატურის მიწოდება-მონტაჟს და შესაბამისად კომპანიის ცნობადობიდან გამომდინარე

სატენდერო წინადადების განხილვისას დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა არ იქნა მოთხოვნილი აღნიშნული ინფორმაცია³

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით რისკის შედეგის თვალსაზრისით შესაძლოა აღნიშნულ გარემოებას გავლენა არ მოეხდინა ტენდერის საბოლოო შედეგზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ აუდიტის ობიექტის აღნიშნული ქმედება, არ მოდის თანხმობაში შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საფრთხეს უქმნის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ზემოაღნიშნული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად მოწოდების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 17 მაისამდე (2015 წლის 17 მარტი - 17 მაისი 60 დღე).

2015 წლის 13 მაისს (იხ. შეთანხმება N38/1 და N38/2) მომწოდებელთან გაფორმებულია შეთანხმებები ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. კერძოდ, შეთანხმება N38/1 შეცვლილია ფასების ცხრილი, ხოლო შეთანხმება N38/2 გაზრდილია მოწოდების ვადა ნაცვლად 60 დღისა 105 დღით. აღნიშნული შეთანხმებებიდან სისტემის შესაბამის ველში დაგვიანებით (სისტემაში რეგისტრაციის თარიღი 25.05.2015წ, 11:59 სთ) განთავსებულია, მხოლოდ ერთი N38/2 შეთანხმება. გარდა აღნიშნული შეთანხმებებისა, მომწოდებელთან ასევე გაფორმებულია კიდევ ორი შეთანხმება (იხ. შეთანხმება 26.06.2015 N38/3 და 20.07.2015 N38/4) ორივე შეთანხმება ეხება მოწოდების ვადის გაზრდას. აღნიშნული შეთანხმებები ატვირთულია სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის არასათანადო ველში.

აუდიტის ობიექტის ქმედებები არ მოდის თანხმობაში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმადაც ტენდერის შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, ცვლილების შეტანიდან 10 დღის ვადაში უნდა აიტვირთოს სისტემაში.

³ აუდიტის ობიექტის წერლობითი პასუხი

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის დოკუმენტის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სიტემაში კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაუცველად განთავსება მაღალი რისკის შემცველია, ვინაიდან არსებობს ალბათობა იმისა, რომ შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ შესაძლებელია განხორციელებული იყოს, ხელშეკრულებით განსაზღვრული მოწოდების ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც შემდგომში შეთანხმების გაფორმების რეალური თარიღის განსაზღვრა არ მოხდა. აღნიშნული ქმედება, იძლევა ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, რომ შესაძლებელია შეთანხმების გაფორმების რეალური თარიღი იყოს სხვა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო მომწოდებელს, პირგასამტეხლოს დარიცხვისაგან თავი აერიდებინა. რაც, თავის მხრივ, შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე და უფელბამოსილი პირების მხრიდან დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე მიუთითებს. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა სისტემაში განთავსებული დოკუმენტების ანალიზი, კერძოდ, როგორც ზემოთ აღნიშნა შეთანხმება მოწოდების ვადის გაზრდის შესახებ გაფორმებულია 2015 წლის 13 მაისს, ხოლო სისტემაში ატვირთულია დაგვიანებით 2015 წლის 25 მაისს, მაშინ როდესაც მოწოდების ვადა გასულია (2015 წლის 17 მაისი).

მაუწყებლის მიერ 2014 წლის 05 დეკემბერს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი შენობების დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე - SPV- 90911200, სატენდერო განცხადების NSPA140028569. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვრა 20 400 ლარის ოდენობით. მოწოდების ვადად კი განისაზღვრა 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოდგენილი იქნა შპს „ტოპ ჰაუს ჯორჯია“-ს მიერ 13 999 ლარი.

შპს „ტოპ ჰაუს ჯორჯია“-ს 2015 წლის 08 აპრილის N02-22/141 წერილით ეცნობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინების მიუხედავად მომწოდებლის მიერ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც მაუწყებლის მიერ

ცალმხრივად შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულების მოქმედება. (იხ. წერილი 16.04.2015 N02-22/149) და 2015 წლის 20 აპრილის წერილით (02-19/154) გაკეთებული იქნა მიმართვა სააგენტოს სახელზე მომწოდებლის „შავ სიაში“ რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 210 ლარი. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა, შესაბამისი დოკუმენტები, მომწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს ხაზინის შესაბამის ანგარიშზე შეტანის თაობაზე.

მიზანშეწონილია აღნიშნული თანხის მიმწოდებელზე დაკისრების მიზნით სასამართლოში წარდგენილი იქნა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნა.

მაუწყებლის მიერ 2014 წლის 06 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სატენდერო განცხადების N SPA140018845, მრავალწლიან შესყიდვაზე, შესყიდვის ობიექტი - სატელევიზიო პროგრამების წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებები, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 36 000 ლარი, მოწოდების ვადა 2014 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე, სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც ქმნის დაწესებულების ხელმძღვანელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტენდერი გამოცხადებულია სამართლებრივი საფუძვლის (სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება) გარეშე, რაც წინააღმდეგობაში მოდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹-ე მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც, სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია.

სატენდერო კომისიის მიერ მიღებული N1 სხდომის ოქმით (იხ.სხდომის ოქმი 03.09.2014 წ) სატენდერო კომისიაში, კონსულტანტებად სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულნი არიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებსაც გაკეთებული აქვთ შესაბამისი დასკვნები.

ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 36 000 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამებოდნენ სატენდერო განცხადების მოთხოვნებს (არ იყო წარმოდგენილი ფასების ცხრილი, სრულყოფილი ინფორმაცია გადაცემაზე მომუშავე პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, დასაზუსტებელი იყო გადაცემის სარეჟისორო სცენარი) სატენდერო კომისიას არ უმსჯელია აღნიშნულის თაობაზე. ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა განხორციელდა, არაუფლებამოსილი პირის სატენდერო კომისიის წევრის წერილის (იხ. წერილი 03.09.2014 N01-22/285), ხოლო გადაცემის სარეჟისორო სცენარის დაზუსტება პრეტენდენტმა განხორციელა თავისი ინიციატივით (სისტემაში რეგისტრაციის თარიღი 07.09.2014 წ 11:02 სთ), ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას გადაცემაზე მომუშავე პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ პრეტენდენტის მიერ საერთოდ არ იქნა წარმოდგენილი.

გადაცემის სარეჟისორო სცენარი განხილული იქნა მოწვეული სპეციალისტების მიერ, რის თაობაზეც შედგა შესაბამისი დასკვნები.

მოწვეული სპეციალისტების მიერ გაკეთებული დასკვნები სისტემაში ატვირთულია 2014 წლის 09 სექტემბერს, რის საფუძველზეც, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, სატენდერო კომისიის წევრის მიერ პრეტენდენტს გაეზავნა მოთხოვნა (იხ. წერილი 09.09.2014 N01-22/296) გადაცემის პილოტის (ნიმუში) წარმოდგენის თაობაზე.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, ამასთან, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. ყველა ის სხდომის ოქმი, რომელიც შეიქმნება ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) შემდეგ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრების მიერ ხელმოწერისთანავე ატვირთული უნდა იქნეს

სისტემაში. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემაში უკვე ატვირთული ოქმის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული ოქმის სისტემაში ატვირთვის გზით.“ შესაბამისად სატენდერო კომისიის წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ელექტრონულ ტენდერთან (სატენდერო განცხადება N SPA140018845) დაკავშირებით ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

მაუწყებლის მიერ ზემოაღნიშნულ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში შპს „ლაიმ სტუდიო“-სთან 2014 წლის 29 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში შესულია ორი ცვლილება (შეთანხმება N138/1 20.11.2014 წ. და შეთანხმება N138/2 09.02.2015წ.). ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე შედგენილი დოკუმენტები, კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაუცველად სისტემის არასათანადო ველშია ატვირთული, რაც პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს.

მაუწყებლის მიერ 2014 წლის 04 აგვისტოს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან CPV- 92221000 (**SPA140018680**) დაკავშირებული ქმედებები შეიცავს ისეთივე სახის ხარვეზებს, რომელსაც ადგილი ქონდა ზემოაღნიშნული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (N SPA140018845) შემთხვევაში. ამასთან, აღასანიშნავია რიგი გარემოებები, კერძოდ, შპს „ლაიმ სტუდიო“-სა და მაუწყებელს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2014 წლის 29 სექტემბერს (29.09.2014 N139). სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 88 150 ლარით, მოწოდების ვადად 2014 წლის 04 ნოემბრიდან 2015 წლის 04 სექტემბრამდე პერიოდი. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით (შეთანხმება N139/1) 2015 წლის 10 ივნისს განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც შეიცვალა ხელშეკრულების დანართში მითითებული პირობა. კერძოდ, შესყიდვის ობიექტის დასახელება და ხუთი ყოველკვირეული თოქ-შოუს (ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურისა და განათლების შესახებ) ნაცვლად განისაზღვრა ოთხი ყოველკვირეული თოქ-შოუს მოწოდების ვალდებულება, ცვლილების შედეგად ამოღებული იქნა გადაცემა „ეკონომიკა“. გარდა აღნიშნულისა, ცვლილება შეეხო გადაცემების პირდაპირ

ეთერში გასვლის დროს და განისაზღვრა 2014 წლის 01 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ამასთან გაიზარდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 იანვრამდე.

ცვლილების შესახებ დოკუმენტი აიტვირთა სისტემის სათანადო ველში კანონით დადგენილ ვადაში (რეგისტრაციის თარიღი 12.06.2015 14:22 სთ). ცვლილების განხორციელების საფუძველი საქმეში არსებული დოკუმენტების თანახმად გახდა პროგრამების სამსახურის უფროსის 2015 წლის 19 მაისის მოხსენებითი ბარათი N02-26/452, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ „ეკონომისტი“-ს საათები შეივსო სხვა დარგობრივი გადაცემების ვადის გაზრდის ხარჯზე, ხოლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია გადაცემა „ეკონომისტი“-ს წამყვანის საკითხზე შეუთანხმებლობამ.

მაუწყებელსა და მომწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებიდან ირკვევა, რომ სატელევიზიო თოქ-შოუ „ეკონომისტი“-ს მიღება მაუწყებლის მიერ ბოლოს განხორციელდა 2015 წლის 02 თებერვალს.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობის თანახმად „გადაცემების რაოდენობა ან ეთერში გასვლის დრო და ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება სხვადასხვა ობიექტური მიზეზით საეთერო ბადის ცვლილება.“

აუდიტის ობიექტის განმარტებით მომწოდებელთან მიმდინარეობდა ზეპირი მოლაპარაკება გადაცემის წამყვანის საკითხზე შეთანხმების მიზნით. მოლაპარაკების მიმდინარეობის პერიოდში შემსყიდველის მიერ არ მომხდარა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-12 მუხლით დადგენილი წესით მომწოდებლისათვის ხარვეზის დადგენა და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ვადის დაწესება.

აღნიშნული მუხლით წესრიგდება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი, რომლის თანახმადაც პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობაა ხარვეზისათვის დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღნიშნული გარემოება მაუწყებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის არასათანადო კონტროლზე მიუთითებს.

ამასთან, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანის აუცილებლობა დასაბუთდეს, სათანადო ობიექტური გარემოებებით, კერძოდ ხელშეკრულებაში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მუხლი „ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის პირობები“, რომლითაც დარეგულირდება ხელშეკრულების პირობათა ცვლილება. შესაძლებელია ამ მუხლში გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულების მხარეთა უფლება, ხელშეკრულების მხარეთა მიერ გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომისას, შეცვალონ ხელშეკრულების პირობები, ან შეწყვიტონ მათ შორის ადრე დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების ცვლილებების საფუძველზე, თანმიმდევრობას და შედეგებს არეგულირებს კანონმდებლობა. ამასთან, ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილების მიზანშეწონილობის შეფასებისას უნდა გავითვალსწინოთ, რომ ის არ უნდა აუარესებს შემსყიდველის სამართლებრივ მდგომარეობას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით აღნიშნული საკითხების ხელშეკრულებით რეგულირება გაზრდის შიდა კონტროლის ეფექტიანობას.

მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ 2015 წლის 20 აპრილს გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადება SPA150011673) ვიდეოკამერების CPV-32333200 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვრა 206 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 197 820 ლარი.

ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 15 მაისს, ხოლო ტენდერს სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მიენიჭა 2015 წლის 13 მაისს (17:49 სთ). რაც არ მოდის თანხმობაში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-15 მუხლის მე-2¹ პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც ტენდერისათვის სტატუსის

„მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭების მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება.

სააუდიტო პერიოდში მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ შეწყვეტილი იქნა ორი ტენდერი, კერძოდ:

- მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ 2015 წლის 09 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA150007524) ვიდეოკამერების CPV-32333200 სახელმწიფო შესყიდვაზე. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე (17.04.2015 N3) ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ ტენდერისათვის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ ეტაპზე შეწყვეტილი იქნა ტენდერის პროცედურა. ტენდერის შეწყვეტის მიზეზად მითითებული იქნა ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა.

- 2015 წლის 04 აგვისტოს მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ „ტენდერი გამოცხადებულია“ ეტაპზე შეწყვეტილი იქნა 2015 წლის 22 ივლისს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150020373). აღნიშნული ტენდერის შეწყვეტის მიზეზად მითითებული იქნა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამო ვიდეოკასეტების საჭიროების არარსებობა.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით ტენდერის შეწყვეტასთან დაკავშირებით, აუდიტის ობიექტის ქმედებები შესყიდვების არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

პირველ შემთხვევაში - ტენდერი შეწყდა, მაშინ როდესაც პრეტენდენტი მოწვეული იყო ხელშეკრულების გასაფორმებლად და შესაბამისად სატენდერო პროცედურა იყო დასრულების ფაზაში;

მეორე შემთხვევაში - ტენდერი შეწყდა სატენდერო წინადადების მიღების დაწყებამდე, თუმცა სატენდერო კომისიის მიერ დასახელებული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი ვერ განიხილება ობიექტურ გარემოებად, რადგან როგორც ზემოთ აღნიშნა ტენდერი გამოცხადდა 2015 წლის 22 ივლისს, ხოლო სატენდერო კომისიის მიერ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი აპარატურის მოწოდება-მონტაჟზე ტენდერი გამოაცხადა 2015 წლის

04 მარტს (სატენდერო განცხადება N SPA150006997) და ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდა 2015 წლის 17 მარტს. შესაბამისად, 2015 წლის 22 ივლისისათვის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ამასთან, აუდიტის ობიექტის ქმედება არ მოდის თანხმობაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლთან, რომლის თანახმადაც შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ამასთან, შესყიდვების წლიური გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა; ბ) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა (საქონელი, სამუშაო, მომსახურება), მათი ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორცაა ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოება, ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და მარკირება, წარმოების მეთოდები და პროცესები, სიმბოლოები, ტერმინოლოგია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნები და ა. შ.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „ახალი ამბები“-ს საინფორმაციო სააგენტოს „ინტერპრესნიუს“-სა და მაუწყებელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება 2014 წლის 26 დეკემბერს. ხელშეკრულების საგანია - საინფორმაციო სფეროში 2015 წლის 01 იანვრიდან - 2015 წლის 31 დეკემბრამდე მომსახურების გაწევა. ხელშეკრულების დადების საფუძველად მითითებული ექსკლუზიური უფლება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ექსკლუზიურ უფლებად განიხილება შემთხვევა, როდესაც მომსახურების (სამუშაოს ან/და საქონლის) მოწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული „ექსკლუზიური უფლების“ გამოყენების აუცილებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება მომწოდებელთან გაფორმებულია 2014 წლის 26 დეკემბერს. აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია 2015 წლის 21 იანვარს (21.01.2015 წ 15:44 სთ). ანგარიშგების წესის მე-5

მუხლის თანახმად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადებული ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის ასლი, გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომლის დადება ხდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის შედეგად, რეგისტრირდება CMR-ში ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებიდან (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტიდან) 10 დღის ვადაში.“

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაუცველადაა ატვირთულია სისტემაში 2015 წლის 06 იანვრის N2 ხელშეკრულება, 2014 წლის 30 დეკემბრის N229 ხელშეკრულება, შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ, ხელშეკრულება N12, ცვლილებების განხორციელების თარიღი 18.03.2015 წ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ობიექტის მიერ არასათანადოდ, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაუცველად არის განხორციელებული ანგარიშგება, რაც პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე მიუთითებს.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მაუწყებლსა და შპს „ბათუმი ექსპრესს“ შორის 2015 წლის 06 იანვარს გაფორმდა N2 ხელშეკრულება ჟურნალ-გაზეთების მოწოდების თაობაზე, ხელშეკრულებაში „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ -ს მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მითითებული უნდა იყოს, კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონე. მოცემულ შემთხვევაში კი ხელშეკრულებაში მითითებულია CPV კოდის ზედა იერარქიული დონე 22200000. შესაბამისად ხელშეკრულების შედგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შესყიდვის ობიექტის დასახელებას და მის შესაბამის CPV კოდს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონეტარული ზღვრების დარღვევა.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მაუწყებლის მიერ 2015 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულია N168 და N169 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები. ხელშეკრულების საგანია ელექტრონული ტაბელისა და დროის აღრიცხვის და ადამიანური რესურსების მართვის პროგრამული პაკეტი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები არ შეიცავს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, რაც რისკის შემცველია, ვინაიდან შესაძლებელია გართულდეს შესყიდვის ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

რისკები:

1. ხელშეკრულებაში ცვლილებების, შეტანა და შემდგომში ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სისტემაში არ განთავსება, რისკის შემცველია, ვინაიდან შესაძლებელია სადაო გახდეს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების, დროის/თარიღის რეალური განსაზღვრა. აღნიშნული გარემოებები კი საფრთხეს უქმნის შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დაცულ ინტერესს - ღია და გამჭვირვალე გარემოს დაცვის უზრუნველყოფას.
2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, შესყიდვის ობიექტის კანონმდებლობასთან შეუსაბამო აღწერა, შესყიდვების გეგმაში ან ხელშეკრულებაში შესაბამისი CPV კოდის მიუთითებლობა, რისკის შემცველია და სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის ალბათობა შეიძლება გამოიწვიოს.
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების არასათანადოდ განსაზღვრა, რისკის შემცველია რამაც შეიძლება გამოიწვიოს შესმსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების დარღვევა, რაც შესაბამისად ნეგატიურად აისახება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებრივ მდგომარეობაზე.
4. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობის პირობებში შემსყიდველ ორგანიზაციას გაუძნელდება მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
5. სატენდერო დოკუმენტაციაში, ისეთი აუცილებელი ელემენტების მიუთითებლობა, როგორცაა, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენის წესი და პირობები, საავანსო ანგარიშსწორების წესი და პირობები, პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ფორმა, რისკის შემცველია, რამაც

შესაძლებელია გამოიწვიოს, კანონით დაცული ინტერესის - ღია და ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვა.

6. სატენდერო კომისიის მიერ შერჩევა/შეფასების ეტაპზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის არასათანადოდ შეფასება, შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაუცველობა, რისკის შემცველია, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს, კანონით დაცული ინტერესის შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფის ხელყოფა.

7. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებისას წარმომადგენლის უფლებამოსილების ნამდვილობის შეუმოწმებლობის შემთხვევაში არსებობს რისკი, იმისა რომ გარიგება მხარემ გახადოს საცილო, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მაუწყებლის კანონიერ ინტერესს.

8. ხელშეკრულებაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიუთითებლობის შემთხვევაში არსებობს რისკი, იმისა რომ სათანადოდ ვერ იქნას გაკონტროლებული მოსაწოდებელი საქონლის ხარისხი და ტექნიკური მონაცემები.

რეკომენდაციები:

1. მაუწყებელმა უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მიხედვით რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად.
3. უნდა განისაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის სისტემაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.
4. ყურადღება უნდა მიექცეს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის დროს კანონმდებლობის მოთხოვნებს, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები უნდა იყოს კანონშესაბამისი, მკაფიო და გასაგები, კერძოდ, შემსყიდველის მიერ მოთხოვნები იმგვარად

იქნეს ჩამოყალიბებული, რომ ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, კონკურენტულ გარემოში შეძლონ ტენდერში მონაწილეობის მიღება.

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შედგენის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების აუცილებელ პირობებს, რათა დაცული იქნას მხარეთა კანონიერი ინტერესები.

6. წინასწარი ანგარიშსწორების საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პირობა მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდეს ხელშეკრულების პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მიზანშეწონილია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში განსაზღვროს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები.

8. სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას შესრულებული სამუშაოების გონივრული საგარანტიო ვადა.

9. ელექტრონული ტენდერის დროს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, სატენდერო განცხადებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აუცილებელია „შერჩევა/შეფასების“ ეტაპზე სატენდერო კომისიამ ყურადღება მიაქციოს სატენდერო დოკუმენტაციითა და კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

10. შემსყიდველი ორგანიზაცია უნდა შეეცადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში მაქსიმალურად დეტალურად დააკონკრეტოს შესყიდვის ობიექტი, მისი რაოდენობრივი, თვისობრივი მახასიათებლები, ფორმა, პარამეტრები და ა.შ. რათა უზრუნველყოს სასურველი ხარისხისა და მახასიათებლების მქონე საქონლის, სამუშაოს თუ მომსახურების მიღება. ამასთან, ხელშეკრულების საგნის (შესყიდვის ობიექტის) აღწერა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის კლასიფიკატორის კოდს, ასევე მის დასახელებას.

ადგილზე წამოჭრილი სხვა საკითხები

აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლილი იქნა მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

შესწავლის მიზანს წარმოადგენს, რისკის ანალიზი და შეფასება, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს პრევენციული კონტროლის ზომები.

მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2015 წლის 17 ივლისის N 01-01/07 საოქმო გადაწყვეტილებით დადგენილია მაუწყებლის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად მრჩეველთა საბჭო: „ ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს.“

მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად არ არეგულირებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს და წესს.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, მრჩეველთა საბჭოს მიერ ზემოხსენებული უფლების რეალიზება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების მომლისათვის კანონისმიერი საფუძვლის გამოყენება მართლზომიერი უნდა იყოს და ამასთან, ნაკარნახევი უნდა იყოს ობიექტური აუცილებლობით (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი), რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია დაწესებულების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორთან - კადრების სტაბილურობასთან.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ -ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის რეგულაციის უპირველესი ამოცანაა, მოხდეს დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. ნებისმიერი დავის განხილვისას,

როგორც წესი, მოწმდება უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხი და მის საფუძველზე ფასდება მხარეთა მიერ გამოთქმული პრეტენზიების მართებულობა.

შესაბამისად, მნიშვნელოვნია მრჩეველთა საბჭოს მიერ მხარეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით განსაზღვრული იქნას საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსი“-ს რეგულაციის მიღმა დარჩენილი სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გაამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

ამასთან, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობების რიგი საკითხები, აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას, მაგ: ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა - შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად განისაზღვრება 15 კალენდარული დღით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად - „ დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.“ აუდიტის სუბიექტს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ თანამშრომელს ჰქონდეს უფლება შესაბამისი გარემოებების არსებობისას (მაგ: პროფესიული გადამზადების კურსებზე წასვლა, როდესაც სწავლის ხანგრძლივობა აღემატება 15 დღეს, ხოლო დასაქმებულს გამოყენებული აქვს ანაზღაურებადი შვებულება) ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით და დამსაქმებელს ჰქონდეს უფლება განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა გონივრული ვადით, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, დამსაქმებლის მხრიდან ადგილი აქვს დასაქმებულის შრომითი უფლებების მომეტებულ შეზღუდვას.

ამასთან, აუდიტის სუბიექტს რეკომენდაციაა შრომით ხელშეკრულებების ძირითადი პირობებით განისაზღვროს ისეთი საკითხი, როგორცაა: შრომითი ხელშეკრულების შინაარსი,

რაც მოიცავს, იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რასაც უნდა პასუხობდეს მაუწყებლის ნებისმიერ თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, კერძოდ:

- ა) შრომითი ხელშეკრულების სარეგისტრაციო ნომერი, მისი დადების თარიღი და ადგილი;
- ბ) ხელშემკვერელი მხარეების ვინაობა და მისამართი;
- გ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
- დ) შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
- ე) სამუშაო დრო და დასვენების დრო;
- ვ) სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;
- ზ) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;
- თ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.
- ი) მხარეთა პასუხისმგებლობის წესი;
- კ) შრომითი ხელშეკრულების მოქმედება და მისი მოქმედების შეწყვეტა;
- ლ) შრომითი ხელშეკრულების ეგზემპლართა რაოდენობა;
- მ) შრომით ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეების რეკვიზიტები;
- ნ) თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების წესი და პროცედურები;
- ო) სხვა დამატებითი პირობები, რომელთა გათვალისწინება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული საკითხებიდან უმრავლესობა დარეგულირებულია (ძირითადად წარმოადგენს შრომის კოდექსის ანალოგს) მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „შრომით ხელშეკრულებების ძირითადი პირობებით“, არ არის განსაზღვრული, თუ რა აუცილებელ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რამაც თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა და თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა, რათა ადგილი არ ჰქონდეს გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებულ მიდგომას.

მაუწყებლის თანამშრომლებთან გაფორმებული, რიგი შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ზეგანაკვეთური სამუშაო დრო. შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.“

მრჩველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული (საოქმო გადაწყვეტილება N21 29.12.2014) „შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობებით“ საავტორო გადაცემების პერსონალსა და რეპორტიორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების პირველი მუხლის თანახმად ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება განსაზღვრულია 20%-ით. ვინაიდან აღნიშნული დანაწესი დამსაქმებელს ართმევს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღების უფლებას, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, უმჯობესია მრჩველთა საბჭოს მიერ დადგინდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები და მისი განსაზღვრა მოხდეს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს შიდა კონტროლის გაზრდას და ეფექტიანობას.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით საავტორო გადაცემების პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების პირობების 2.3.3. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმა (შრომის ანაზღაურების 25%, 50% და 100% ჯარიმა) არის შეუსაბამოდ მაღალი, ვინაიდან დადგენილი სამოსამართლო პრაქტიკის თანახმად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ამასთან, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ - შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. დასაქმებული, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის სიმძიმესა და დაკისრებული პირგასამტეხლოს შორის არათანაბრობაზე და შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გაუმართლებლად დაკისრების თაობაზე აპელირებს,

თუ ვერ დაადასტურებს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას, მტკიცების ტვირთს აბრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის დაჯარიმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იმ ძირეული პრინციპიდან, რომლის მიხედვით, დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა მუშაკმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე მუშაკს, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზედ, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია ალბათობა იმისა, რომ იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებულ საკითხზე შრომითი დავა გადაინაცვლებს სასამართლოში, გადაწყვეტილება გამოტანილი იქნას დასაქმებულის სასარგებლოდ, რაც თავის მხრივ არ აისახება დადებითად მაუწყებლის საკადრო პოლიტიკაზე.

აუდიტის სუბიექტი ჯარიმის და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას (დადგენილ პრეცედენტს), მათ შორის 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე №1580-1509 (კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს.

პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია: (1) მოვალეს უზიდავს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით, ან (2) წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით. ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან”.

აუდიტის სუბიექტი იზიარებს სასამართლო პრაქტიკას და მიაჩნია, რომ პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს გონივრულ ფარგლებში, ხოლო მისი გამოყენება იყოს თანაზომადი, რადგან დაცული იქნეს გონივრული ბალანსი პირგასამტეხლოს რეალურ ფუნქციასა (ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება) და დამსაქმებლისათვის მიყენებულ შესაძლო ზიანს შორის. სხვა სიტყვებით პირგასამტეხლო არ უნდა იქცეს დასაქმებულის ხარჯზე დამსაქმებლის გამდიდრების საშუალებად.

მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2015 წლის 28 ივლისის N 01-01/08 საოქმო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია მაუწყებლის 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც შეთანხმებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან 2015 წლის 21 აგვისტოს

(გადაწყვეტილება N307 ოქმი N299 21.08.2015 წ), შესაბამისად მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები ძალაშია 2015 წლის 21 აგვისტოდან.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო „მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს და ათანხმებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს.“ ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.“

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი, თუმცა, მხედველობაშია მისაღები დადგენილი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც: ადმინისტრაციული აქტი საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, გამოიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, თუმცა საჯარო წარმოების სახე აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ეს პირდაპირ არ არის კანონით განსაზღვრული, მაგრამ, აშკარაა, რომ აქტი შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, ვინაიდან მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და ეხება პირთა ფართო წრის ინტერესს, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცესს, როდესაც ხდება ფართო საზოგადოების ჩართვა იმ საკითხების განხილვა/გადაწყვეტის პროცესში, რომელიც მათ ინტერესებს შეეხება. აღნიშნული პროცედურის მთავარი მიზანია ეფექტურობის ამაღლება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პროცესებში დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაბალანსება.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

- ✓ ინფორმირება/შეტყობინების ეტაპს (ინფორმაციის გამოქვეყნება კონკრეტული დაგეგმილი მოქმედების შესახებ);
- ✓ უშუალო კონსულტაციების წარმოების ეტაპს (ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა და გაზიარება);
- ✓ სამართლებრივი აქტის შემუშავებაში უშუალო მონაწილეობის / ჩართულობის ეტაპს (საშუალება მიეცეთ დაინტერესებულ მხარეებს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების შემუშავების სტადიაზე).

აღნიშნული პროცედურები წარმოადგენენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეგულირების ეფექტურობის გასაზრდელად სხვა არსებულ საშუალებებთან ერთად.

ამასთან, პირთა ფართო წრის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებისას წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტს საქმიანობის ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ფუნქციონირების ხარისხის ასამაღლებლად.

მაღალი ხარისხით წარმართული საჯარო კონსულტაცია ზრდის სისტემის გამჭვირვალობას და რეგულირების ხარისხს. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისას, გაითვალისწინება გამოცდილება და ალტერნატიული იდეები, ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებს დააბალანსონ საწინააღმდეგო ინტერესები, ხარვეზების და პრობლემების უმეტესობის გამოვლენა ხდება სამართლებრივი აქტის მიღებამდე. მაღალი ხარისხის კონსულტაციის პროცესი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხის დროულ ანონსირებას, შესაბამისად დაინტერესებულ მხარეებს აქვთ საკმარისი დრო წარადგინონ მოსაზრებები. იზრდება ნდობა გადაწყვეტილების მიმღებისა და მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის მიმართ⁴.

ამასთან, ზემოაღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს: მაუწყებლის 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტების პროექტი მაუწყებლის ვებ-გვერდზე (<http://ajaratv.ge/files/ms/priorittebi2015ivnisiproeqti.pdf>) განთავსებულია 2015 წლის 26 ივნისს.

⁴ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) - „ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში“.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 117-ე მუხლით განსაზღვრულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომლის თანახმადაც, საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

(ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე; (ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში; (გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შემდეგ (წარდგენიდან 20 დღის განმავლობაში), ყველას აქვს უფლება თავისი წერილობითი მოსაზრება წარადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში, კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებები რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში ეგზავნება სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

აღნიშნული მოქმედებების განხორციელების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ერთი თვის ვადაში მოამზადოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი. რის შემდეგადაც იმართება ზეპირი მოსმენა და ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში გამოიცემა ადმინისტრაციული აქტი (კანონი უშვებს აღნიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას).

შესაბამისად, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების მიღების დროს კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული პროცედურების თანმიმდევრულად გავლა, უფრო მეტად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას და კანონით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების შესრულებას.⁵

არსებული რისკები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა

⁵ „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი

მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე იქნას წარმოებული.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35²-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო რადიომაუწყებლობას ახორციელებს 1 რადიოარხზე“. მაუწყებლის 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტებით არ არის განსაზღვრული რადიოს პროგრამული პრიორიტეტები.

მრჩეველთა საბჭოს მიერ სამეურვეო საბჭოსადმი გაზავნილ წერილში (28.07.2015 N01-02/06) მითითებულია, რომ რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში.

აღნიშნული მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მრჩეველთა საბჭოს მიერ დღემდე არ რის მიღებული.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მრჩეველთა საბჭომ მაუწყებლის დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ალბათობის გაზრდის მიზნით, კანონით დადგენილი წესით ახალი სეზონისთვის მაინც, დროულად უნდა განსაზღვროს რადიოს პროგრამული პრიორიტეტები,

ვინაიდან ტელევიზიის პროგრამული პრიორიტეტები მათი შინაარსის გათვალისწინებით არ შეიძლება გავრცელდეს რადიოზე.

ამასთან, პროგრამული პრიორიტეტების არასრულყოფილად განსაზღვრა არ მოდის თანხმობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ინტერესთან, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი მაუწყებელი დაფუძნებულია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით საზოგადოებისათვის სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად მაუწყებლის მიერ გაცხადებული ამოცანები/პრიორიტეტები.

აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლილი იქნა მრჩეველთა საბჭოს მიერ 2014 წლის 23 ოქტომბერს გაცემული რეკომენდაციის აღსრულების მდგომარეობა, რომელიც ეხება მაუწყებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს გამოვლენილ დარღვევებს. აუდიტის სუბიექტის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მაუწყებლის მიერ გათვალისწინებულია რეკომენდაციაში მითითებული შენიშვნების უმრავლესობა. არსებობს გარკვეული სახის დარღვევა/ნაკლოვანებები, რომლებიც აუდიტის ანგარიშში ასახულია.

აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული იქნას რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს და პროცედურას, რითაც სხვა საკითხებთან ერთად, ასევე დარეგულირდება მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის, მათი მოქმედებების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განსახორციელების წესი და პროცედურა.

აღნიშნული პროცედურების განსაზღვრა სხვა არსებულ საშუალებებთან ერთად უზრუნველყოფს შიდა კონტროლის გაზრდასა და ეფექტიანობას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გადამოწმებული იქნა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ მაუწყებლის 2015 წლის ანგარიშის გამოქვეყნების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და დადგინდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად მაუწყებლის მიერ არ არის გამოქვეყნებული ანგარიში, კერძოდ კანონის თანახმად „საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში“, რომელიც უნდა შეიცავდეს, საჯარო ინფორმაციასთან, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის მონაცემებს.

აღნიშნული გარემოება პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს.

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 28-ე მუხლის შესაბამისად საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის, (მათ შორის საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაციის) ხელმისაწვდომობა.

მაუწყებლის ელექტრონულ რესურსზე განთავსებულია მაუწყებლის/მრჩველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის მრჩველთა საბჭოს სხდომის ვიდეოჩანაწერები. მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ არ არის განსაზღვრული ელექტრონულ რესურსზე ინფორმაციის განთავსების წესი, პროცედურა და პასუხისმგებელი პირი/პირები, ამასთან ელექტრონულ რესურსზე სისტემატიზირებული სახით გამოქვეყნებული არ არის ინფორმაცია მაუწყებლის მიერ გაწეული ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, არ არის დამტკიცებული ელექტრონულ რესურსზე განსათავსებელი ინფორმაციის ნუსხა.

მაუწყებელში დაცული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია მაუწყებლის ელექტრონულ რესურსზე, განხორციელდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად

გამოქვეყნების სტანდარტის შესაბამისად, კერძოდ სტანდარტი დაცულია, როდესაც: (1) უზრუნველყოფილია ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება; (2) საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე განთავსებულია იმგვარად, რომ შესაძლებელია განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

რეკომენდაცია:

1. განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.
2. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.

**შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
თაობაზე**

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლისა და ანალიზის, მისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის, შემოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულების წინაშე არსებობს გარკვეული რისკები ანუ ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე. მაუწყებლის წინაშე არსებული რისკები ძირითადად უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურების ზუსტად შესრულებას, ანგარიშგებას და ორგანიზაციის საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას, რაც საერთო ჯამში შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შემუშავებულ და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს (იურიდიული მხარდამჭერის სამსახური, საკადრო ბაზის განვითარების სამსახური, ფინანსური ეფექტიანობის სამსახური) გადაეგზავნოს შიდა აუდიტორული ანგარიში და მიეცეს ერთთვიანი ვადა ანგარიშში ასახული და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე.

ზვიად ბერიძე
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ეკატერინე შაინიძე
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის
მოადგილე

18.03.2016 წ.